



SOCIÉTÉ FRANÇAISE
DE PHARMACIE ONCOLOGIQUE
ONCOLIEN®

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი



LAPATINIB - TYVERB®

რა არის TYVERB-ი

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ლაპატინიბი	250 მგ ტაბლეტი: ყავისფერი, ოვალური 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის მგ/დღეში, ანუ 250 მგ-იანი ტაბლეტი, რომელიც უნდა მიიღოთ ერთხელ დღეში, ყოველდღე.

ტაბლეტები გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების, გატეხვის, დალეჭვის ან განზავების გარეშე. მიიღეთ ფიქსირებულ დროს საკვების მიღებისგან მოშორებით (კვებამდე 1 საათით ადრე ან კვებიდან 2 საათის შემდეგ).

დავინწყების ან ღებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთი მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს, კვების გარეთ	 <1სთ 1სთ>	 <1სთ 1სთ>	 <1სთ 1სთ>						
უწყვეტლივ	 დ1	 დ2	 დ3	 დ4	 დ5	 დ6	 დ7		 დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დააკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, ღვიძლის ფუნქციებსა და კალიუმის დონეს) და კლინიკურ მეთვალყურეობას (არტერიული წნევა, ელექტროკარდიოგრამა, გულის სცინტიგრაფია).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და სხვა მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

TYVERB®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

მაგალითი: მოერიდეთ კრაზანას ან გრეიფრუტის წვენის მოხმარებას TYVERB®-თან ერთად.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის

1/3



SFPO-ს ონკობული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .

ემყარება შემდეგ ნაშრომს <https://oncolien.sfpo.com>.

ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე <https://www.sfpo.com>

საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის

ინსტრუქციას ან მიმართულებას ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: გულისრევა, ღებინება, დიარეა, მადის დაკარგვა და წონის დაკლება კანის დარღვევები: სიმშრალე, ლაქები (აკნე), ხელისგულების, ფეხის ტერფების და ხახუნისადმი მგრძნობიარე ადგილების ანთება (განსაკუთრებით კაპეციტაბინთან ერთად გამოყენებისას), ფრჩხილების ცვლილებები, მგრძნობელობა მზის სხივებზე. ტკივილი: სახსრებსა და კიდურებში, თავის ტკივილი ბიოლოგიური ანალიზის დარღვევები: ღვიძლის ფუნქციის დარღვევები გულის ფუნქციის დარღვევები სხვა: ხველა, დაღლილობა, მოულოდნელი შეხურება
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები > მნიშვნელოვანი და/ან სწრაფი წონის დაკლების შემთხვევაში > ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა > ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში > 24 საათის განმავლობაში დაღევის და/ან დაახლოებით 48 საათის განმავლობაში ჭამის შეუძლებლობა. გულის დარღვევის მიმანიშნებელი სიმპტომები > სუნთქვის უკმარისობა, გულის ფრიალი, ტკივილი ან დაჭიმულობა გულმკერდის არეში კანის დარღვევები > კანის მნიშვნელოვანი ბუშტუკების ან ძლიერი აქერცვლის გაჩენა > ხელებისა და ფეხების ტკივილის ან ანთების გაუარესება ფილტვების არეში დარღვევები > გაძლიერებული მუდმივი ხველა ან სუნთქვის გაძნელება ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში > თავის ტკივილები > სახსრების ტკივილი
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს
დაღლილობა	ამჯობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
კანის მოვლა	ხელუბსა და ფეხებზე: წაისვით ხელებსა და ფეხებზე დამატენიანებელი კრემი ან რძე და/ან შემახორცებელი კრემი (ძლიერი შეხელების გარეშე). მოერიდეთ ხელებისა და ფეხების სიცხესთან (ცხელ წყალთან) შეხებას. მოერიდეთ ხახუნის ან წყლულების გამომწვევ აქტივობებს და მოერიდეთ მჭიდრო ტანსაცმლის, წინდებისა და ფეხსაცმლის ტარებას. სხეულად: ჰიგიენისთვის უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან თავის დასაცავად გამოიყენეთ სრული დამცავი ეკრანი. მოერიდეთ მზის სხივების ზემოქმედებას
ფრჩხილების მოვლა	მოერიდეთ ფეხისა და ხელის ფრჩხილების დაზიანებას. მოერიდეთ ფრჩხილის ლაქს, გარდა იმ (დამცავი) ლაქისა, რომელიც გირჩიათ სამედიცინო გუნდმა. უპირატესობა მიანიჭეთ ფრჩხილების სწორად და არა ზედმეტად მოკლედ დაჭრას.
მოულოდნელი შეხურება	განახორციელეთ ადაპტირებული ფიზიკური აქტივობა. მოერიდეთ სითბოს წყაროებს
სახსრების ტკივილი	განახორციელეთ ადაპტირებული ფიზიკური აქტივობა
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	



დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. მოერიდეთ უმ ხილს და ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, ყავას და ალკოჰოლს. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
მოულოდნელი შეხურება	მოერიდეთ ცხარე საკვების, ალკოჰოლის ან კოფეინის შემცველი საკვების მიღებას. დალიეთ ცივი სასმელები და დიდი რაოდენობით

